

# საპარლამენტო კონტროლის ძირითადი მექანიზმები საქართველოში



სოციალური  
სამართლიანობის  
ცენტრი

საპარლამენტო ზედამხედველობა (კონტროლი) ერთ-ერთია პარლამენტის სამ ყველაზე ზოგად ფუნქციას შორის (წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო და საზედამხედველო).<sup>1</sup> საზედამხედველო ფუნქცია ორი გზით ხორციელდება: პარლამენტები აკონტროლებენ პოლიტიკის მომზადების პროცესს (*ex ante*) ან აკონტროლებენ პოლიტიკის აღსრულებასა და იმპლემენტაციას (*ex post*).<sup>2</sup> ზედამხედველობა, ცხადია, არის კანონშემოქმედებითი ფუნქციის გამაგრებელი აქტივობა. მეტიც, აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის კონტროლი, შესაძლოა, საკანონმდებლო ორგანოს ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციადაც კი იქნას მიჩნეული.<sup>3</sup>

**საპარლამენტო ზედამხედველობა არსებითად ორ დონეზე – პლენარულსა და საკომიტეტოზე – მიმდინარეობს. საკომიტეტო კონტროლი უფრო მეტად საკითხების საგნობრივ და სიღრმისეულ შესწავლას გულისხმობს. მისი მიზანი არა იმდენად პოლიტიკური ამინდის შექმნა, არამედ საკითხების სპეციფიკურ მახასიათებლებში გარკვევა და მისი დეტალური ანალიზია, რაც შემდგომ, შესაძლოა, უფრო ფართო პოლიტიკური პროცესების წინაპირობა გახდეს. საპირისპიროდ, პლენარულ სხდომაზე მიმდინარე პროცედურების დიდი ნაწილი, სხვა ფუნქციებთან ერთად, უფრო მეტად ემსახურება პოლიტიკური დღის წესრიგის ჩამოყალიბებისა და პოლიტიკური იძულების მიზნებს. პლენარულ სხდომებზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პოლიტიკური დებატები (მით უფრო მაშინ, როცა ის საზოგადოებრივი ყურადღების საგანია). დებატები კონკრეტულ გადანაცვებებში იშვიათად გამოიხატება და მისი საგანი არც მაინცდამაინც საკითხის დეტალური გამოკვლევაა.<sup>4</sup> მიუხედავად ამისა, პოლიტიკური დებატები აიძულებს მთავრობას მხედველობაში მიიღოს ცალკეული საკითხები, წარუდგინოს პარლამენტს ანგარიში, ის გაველენას ახდენს ელექტორალურ შეხედულებებსა და ამომრჩევლის განწყობებზე.<sup>5</sup>**

უნდა ითქვას, რომ ეს დაყოფა, ისევე როგორც მექანიზმებისთვის მინიჭებული შესაბამისი დატვირთვები, ბუნებრივია, პირობითია და შესაძლოა ზუსტად არ ასახავდეს ყველა კონკრეტული პროცედურის არსს. თუმცა, ამ დაყოფის მიზანი მათ შორის ისიც არის, რომ უფრო ნათლად გამოკვეთოს სხვადასხვა დონეზე საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების სწორად და ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობები.

რეგლამენტში ჩამოთვლილი ზედამხედველობის საშუალებებიდან, **პლენარულ დონეზე** ხორციელდება შემდეგი მექანიზმები:

1 Niall Johnston, *Financial Oversight: A Handbook for Parliamentarians*, World Bank Institute, p. 1, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vIJ6yX>; წვდომის თარიღი: 27.04.2021].

2 იქვე.

3 საპარლამენტო მექანიზმების გაძლიერება ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებს შორის ურთიერთობებში, NDI, ინგლისურიდან ქართულად თარგმნისა და განახლების ჯგუფი: ვახუშტი მენაბდე (სამეცნიერო რედაქტორი), თორნიკე გერლიანი და გვანცა ჭიჭია, 2019, გვ. 45.

4 Paul Silk and Rhodri Walters, *How Parliament Works*, 4th edition, Harlow, 1998, United Kingdom, p. 207.

5 იქვე.

1

მთავრობისთვის ნდობისა და უნდობლობის გამოცხადება – საპარლამენტო მმართველობის მოდელში აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირება მისთვის ნდობის გამოცხადებით იწყება, რაც არჩევნებში გამარჯვებული ძალის მიერ ერთპარტიულად, ან რამდენი პოლიტიკური ჯგუფის გაერთიანებით ხდება (რათა მთავრობას პქონდეს დეპუტატთა ნახევარზე მეტის, 76 ადამიანის, მხარდაჭერა).<sup>6</sup> **უნდობაგამოცხადებული მთავრობის მიმართ უნდობლობის პროცედურის აღძვრა საპარლამენტო კონტროლის ყველაზე რადიკალური გამოვლინებაა, რომელიც, როგორც წესი, საპარლამენტო ძალთა ბალანსის მკვეთრი ცვლილების, ან მთავრობის არსებული შემადგენლობისადმი მმართველი ძალის დეპუტატების პოზიციების აშკარა ცვლილების შედეგია.** უნდობლობის პროცედურის აღძვრის უფლება 51 დეპუტატს აქვს (სრული შემადგენლობის 1/3-ზე მეტს).<sup>7</sup> უნდობლობის პროცედურა წარმატებით დასრულდება, თუ მას ორი კვირის ვადაში პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა (76 დეპუტატი) დაუჭერს მხარს.<sup>8</sup>

2

პარლამენტის წევრის კითხვა – კითხვის ადრესატი შეიძლება იყოს „საქართველოს მთავრობა, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანო, მთავრობის წევრი, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლების ორგანო, სახელმწიფო დაწესებულება“.<sup>9</sup> კითხვის წარდგენა ნებისმიერ დეპუტატს შეუძლია. პარლამენტის წევრის კითხვას წერილობითი ფორმა აქვს<sup>10</sup> და მასზე პასუხის გაცემაც წერილობით ხდება.<sup>11</sup> კითხვის მექანიზმი დეპუტატისთვის ინფორმაციის მიღების ტიპურ უფლებას წარმოადგენს და მას პოლიტიკურ პროცესებში საფუძვლიანი მონაწილეობის მიღების წინაპირობას უქმნის. თუმცა, **კითხვის მექანიზმი მრავალი განსხვავებული მიზნისთვის შეიძლება გამოიყენებოდეს, როგორებიცაა: ინფორმაციის ან ახნა-განმარტების მოთხოვნა; პოლიტიკურ ველში საკუთარი პიროვნების წარმოჩენა; თანამდებობის პირებზე პოლიტიკური შეტევა და მათი ნაკლოვანებების დემონსტრირება; ზრუნვის გამოხატვა ამომრჩევლის ინტერესებისადმი; გარკვეულ საკითხებში რეპუტაციის შექმნა; აღმასრულებელი ხელისუფლების კომპრომისებზე წამოყვანის სურვილი; მღელვარებისა და პოლიტიკური დრამის ელემენტების შექმნა და სხვა.**<sup>12</sup>

6 საქართველოს კონსტიტუცია, 56-ე მუხლი.

7 იქვე, 57-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

8 იქვე, 57-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

9 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 148-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

10 იქვე, მე-2 პუნქტი.

11 იქვე, მე-4 პუნქტი.

12 Matti Wiberg, Parliamentary Questioning: Control by Communication? in *Parliaments and Majority Rule in Western Europe* edited by Herbert Döring, p. 181, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2PssfLD>; ნდომის თარიღი: 27.04.2021].

## 3

ინტერპელაცია – ინტერპელაციის მექანიზმის ადრესატი შეიძლება იყოს „საქართველოს მთავრობა, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანო, მთავრობის წევრი“.<sup>13</sup> ინტერპელაციის წარდგენის უფლება აქვს პარლამენტის წევრთა შვიდკაციან ჯგუფს ან ფრაქციას.<sup>14</sup> ინტერპელაცია წერილობითი ფორმით უნდა იყოს წარდგენილი,<sup>15</sup> თუმცა მასზე პასუხის გაცემა ზეპირად, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ხდება (პლენარულ სხდომას კითხვაზე პასუხი წერილობითაც უნდა წარედგინოს).<sup>16</sup> ამ პროცესს დებატები მოყვება<sup>17</sup> და, საბოლოოდ, შესაძლებელია, რომ დადგენილების მიღებით დასრულდეს.<sup>18</sup> საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, ინტერპელაცია წელიწადში ოთხჯერ იმართება: მარტში, მაისში, სექტემბერსა და ნოემბერში.<sup>19</sup> **საპარლამენტო ზედამხედველობის პროცესში ოპოზიციისთვის ინტერპელაციის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ის „კონკრეტულ საკითხსა ან ცალკეულ შემთხვევებში, მინისტრთა გადაცდომების თაობაზე საყოველთაო დებატების პროვოცირებისთვის არის შექმნილი“.**<sup>20</sup> ამდენად, ინტერპელაციას საპარლამენტო ცხოვრებასა და პოლიტიკურ დღის წესრიგში განსაკუთრებული კონტრიბუციის შეტანა შეუძლია.

## 4

პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენება – მთავრობის მეთაურის ყოველწლიურ მოხსენებას სავალდებულო შინაარსი აქვს.<sup>21</sup> ის ჯერ წერილობითი ფორმით უნდა გაიგზავნოს, შემდეგ კი, პრემიერ-მინისტრი ზეპირი მოხსენებით წარსდგება პარლამენტის პლენარული სხდომის წინაშე.<sup>22</sup> მოხსენების მიზანია, რომ პრემიერმა პარლამენტს გააცნოს სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ არსებული მდგომარეობა. მოხსენების შემდგომი პროცესი კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისთვის დადგენილი წესის შესაბამისად წარიმართება, რაც თავის თავში როგორც კითხვა-პასუხის, ისე დებატების ფორმატს მოიცავს.<sup>23</sup>

13 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 149-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

14 იქვე.

15 იქვე, მე-2 პუნქტი.

16 იქვე, მე-4 პუნქტი.

17 იქვე, მე-10 პუნქტი.

18 იქვე, მე-11 პუნქტი.

19 იქვე, მე-5 პუნქტი.

20 გიორგი ალავერდიაშვილი, თორნიკე გერლიანი და ანა ჯაბაური, საპარლამენტო კონტროლი კონსტიტუციისა და რეგლამენტის რეფორმის შემდეგ, კვლევის ხელმძღვანელი და სამეცნიერო რედაქტორი: ვახუშტი მენაბდე, თბილისი, 2020, გვ. 32, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sMCLec>; წვდომის თარიღი: 27.04.2021].

21 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 150-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

22 იქვე, მე-3 პუნქტი.

23 იქვე.



5

პრემიერ-მინისტრის ანგარიში – ეს მექანიზმი პლენარულ სხდომაზე პრემიერის რიგგარეშედ დაბარებას გულისხმობს, სამთავრობო პროგრამის **ცალკეული ნაწილის** შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენის მიზნით.<sup>24</sup> ამ საკითხზე პარლამენტი გადაწყვეტილებას იღებს კომიტეტის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე, პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.<sup>25</sup> ამის შემდეგ, პროცედურები იმავე ფორმით წარიმართება, როგორც ეს ყოველწლიური მოხსენების შემთხვევაშია.<sup>26</sup>

6

მინისტრის საათი – მინისტრის საათი, პრემიერ-მინისტრის მოხსენების მსგავსად, სავალდებულო შინაარსისაა და გულისხმობს წელიწადში ერთხელ, საქართველოს მთავრობის ცალკეული წევრების მიერ (საქართველოს პრემიერ-მინისტრის გარდა), პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სამთავრობო პროგრამის შესრულების შესაბამისი მიმართულების შესახებ მოხსენებით გამოსვლას.<sup>27</sup> მოხსენების შემდეგ იმართება კითხვა-პასუხისა და დებატების პროცედურა კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისთვის დადგენილი წესით.<sup>28</sup> აღსანიშნავია, რომ **„მინისტრის საათი“ ე.წ. „სამთავრობო საათის,“ იგივე „შეკითხვის დროის“ (Question Time) ასოციაციას ქმნის, თუმცაღა მასთან საერთო ფაქტობრივად არ აქვს. სამთავრობო საათს, რომლის მიზანია დეპუტატების მიერ მინისტრებისგან მიმდინარე, აქტუალურ საკითხებზე ინფორმაციის სწრაფად მიღება, საქართველოს რეგლამენტი არ ითვალისწინებს.<sup>29</sup> რაც შეეხება მინისტრის საათს, ის „კონკრეტულ სფეროში სამთავრობო პროგრამის შესასრულებლად გადადგმული ნაბიჯების შესახებ საკანონმდებლო ორგანოს ინფორმირების ინსტრუმენტს წარმოადგენს“.<sup>30</sup>**

24 იქვე, 151-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

25 იქვე.

26 იქვე, მე-2 და მე-3 პუნქტები.

27 იქვე, 153-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

28 იქვე, მე-4 პუნქტი.

29 ნათია სვანიძე, გვანცა ჭიქია და თორნიკე გერლიანი, ოცი წელი საპარლამენტო კონსტრუქციის გარეშე: მეორე გადაშეფასებული გამოცემა, კვლევის ხელმძღვანელი და სამეცნიერო რედაქტორი: ვახუშტი მენაბდე, თბილისი, 2019, გვ. 52, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sQ4lHC>; წვდომის თარიღი: 27.04.2021].

30 იქვე.

## 7

თანამდებობის პირის პლენარულ სხდომაზე გამოცხადება – ამ მექანიზმის ადრესატი შეიძლება იყოს „მთავრობის წევრი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელი“.<sup>31</sup> თანამდებობის პირის პლენარულ სხდომაზე გამოცხადების მიზანია, შესაბამისმა პირებმა პასუხი გასცენ სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინონ განუვლი საქმიანობის ანგარიში.<sup>32</sup> აღნიშნული მექანიზმის განხორციელების ინიციატორი შეიძლება იყოს კომიტეტი ან ფრაქცია, გადაწყვეტილება კი პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით მიიღება (მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა).<sup>33</sup> მოხსენების შემდეგ იმართება კითხვა-პასუხისა და დებატების პროცედურა.<sup>34</sup>

## 8

იმპიჩმენტი – საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია, იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადააყენოს სხვადასხვა თანამდებობის პირები (პრეზიდენტი, მთავრობის წევრი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, გენერალური პროკურორი, გენერალური აუდიტორი და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი).<sup>35</sup> იმპიჩმენტი შედგება როგორც პოლიტიკური, ასევე სამართლებრივი კომპონენტისაგან. ამ მექანიზმის ინიცირების უფლება პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ს აქვს (50 დეპუტატი).<sup>36</sup> საკითხს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლო და წარადგენს დასკვნას იმის თაობაზე, დაარღვია თუ არა თანამდებობის პირმა კონსტიტუცია ან იკვეთება თუ არა მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნები.<sup>37</sup> დადებითი დასკვნის შემთხვევაში, საკანონმდებლო ორგანომ კენჭისყრით უნდა გადაწყვიტოს იმპიჩმენტის წარმატებით დასრულების საკითხი. პრეზიდენტის იმპიჩმენტი პარლამენტის სრული შემადგენლობის 2/3-ის მხარდაჭერით წყდება, დანარჩენი თანამდებობის პირების კი – სრული შემადგენლობის უმრავლესობით.<sup>38</sup>

31 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 152-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

32 იქვე.

33 იქვე.

34 იქვე, მე-5 პუნქტი.

35 საქართველოს კონსტიტუცია, 48-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

36 იქვე.

37 იქვე, მე-2 პუნქტი.

38 იქვე, მე-3 პუნქტი.

## 9

საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიები – საქართველოს რეგლამენტით, კონსტიტუციის შესაბამისად, გათვალისწინებულია საგამოძიებო კომისიისა და სხვა დროებითი კომისიის შექმნის შესაძლებლობა. დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის ორი საფუძველი არსებობს: „ა) ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირის კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ, კორუფციული სამართალდარღვევის შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას, სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა ინტერესებს; ბ) ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არამართლზომიერი ხარჯვის შესახებ“.<sup>39</sup> რაც შეეხება სხვა დროებითი კომისიას, ის იქმნება „სახელმწიფოებრივი ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის იმ არამუდმივი ამოცანის შესრულების მიზნით, რომლის შესრულებაც საჭიროებს საკითხის კოლეგიურ შესწავლასა და გადაწყვეტას“.<sup>40</sup> დროებითი საგამოძიებო კომისია იქმნება პარლამენტის სრული შემადგენლობის 1/3-ის მხარდაჭერის საფუძველზე, მონიშნულ შემთხვევაში ხმები კი მხედველობაში არ მიიღება.<sup>41</sup> სხვა დროებითი კომისია იქმნება პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მეოთხედისა.<sup>42</sup> საკითხის შემაჯამებელ ეტაპზე დროებითი საგამოძიებო და სხვა კომისია იღებს დასკვნას ან რეკომენდაციას.<sup>43</sup>

## 10

პოლიტიკური დებატები – მართალია აღმასრულებელი ხელისუფლების მონევეს, მისგან ინფორმაციის მიღებას/გამოკვლევას ან თანამდებობიდან გათავისუფლებას არ ითვალისწინებს, თუმცა საპარლამენტო ზედამხედველობის, დელიბერაციისა და პოლიტიკური პროცესის შექმნის მნიშვნელოვანი კომპონენტია პოლიტიკური დებატები, როგორც დამოუკიდებელი საპარლამენტო პროცედურა.<sup>44</sup> პოლიტიკური დებატები ინიშნება თვეში ერთხელ, ნებისმიერ წინასწარ განსაზღვრულ საკითხზე, პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით. საპარლამენტო დებატები აზრთა ზეპირი გაცვლაა, რომელიც მიზნად კონკრეტულ საკითხებზე საკანონმდებლო ორგანოს კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ხელშეწყობას ისახავს. ის განიმარტება, როგორც „საკანონმდებლო ორგანოში საპარლამენტო პროცედურების შესაბამისად წარმართული დისკუსია, არგუმენტაცია და წინადადებების წარდგენა“.<sup>45</sup> საპარლამენტო დებატების მარეგულირებელი წესები პოლიტიკური ჯგუფების მიერ პოზიციების დაფიქსირებას უზრუნველყოფს, ხოლო

39 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

40 იქვე, 72-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

41 იქვე, 62-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

42 იქვე, 73-ე მუხლი.

43 იქვე, 70-ე მუხლის მე-2 პუნქტი; 72-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

44 იქვე, 93-ე მუხლი.

45 Paul Silk and Rhodri Walters, *How Parliament Works*, 4th edition, Harlow, 1998, United Kingdom, p. 199.

საკანონმდებლო ორგანოს ცალკეულ წევრებს სპეციფიკური მნიშვნელობის საკითხების წამოჭრის შესაძლებლობას აძლევენ.<sup>46</sup> საპარლამენტო დებატებს ინსტიტუციური წესრიგისა და ხელისუფლების შტოებს შორის ძალაუფლების ბალანსის უზრუნველყოფაში საკუთარი წვლილი შეაქვს. **დებატების პროცედურა საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაში უმცირესობის როლს ზრდის, ეს კი განსაკუთრებით პარტიული პოლიტიკის განვითარებისა და ძლიერი შიდა-საპარლამენტო ინსტიტუტების ფორმირების კუთხითაა მნიშვნელოვანი.**

აღმასრულებელი ხელისუფლების ზედამხედველობაში მნიშვნელოვანი როლი უკავია კომიტეტებს. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, კომიტეტები „ახორციელებენ საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოების საქმიანობის კონტროლს“.<sup>47</sup> **საკომიტეტო დონეზე** გათვალისწინებულია ზედამხედველობის შემდეგი მექანიზმები:

1

თემატური მოკვლევა – ეს მექანიზმი გულისხმობს აქტუალური საკითხის შესწავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტის მომზადების მიზნით, პარლამენტის წევრთაგან, კომიტეტის ან პარლამენტის მუდმივმოქმედი საბჭოს გადაწყვეტილებით თემატური მოკვლევის ჯგუფის დანიშვნას, რომელიც თავისი შემადგენლობიდან ირჩევს მთავარ მომხსენებელს.<sup>48</sup> აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღება კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.<sup>49</sup>

2

კომიტეტის თემატური მომხსენებელი – თემატური მომხსენებელი გულისხმობს პარლამენტის კანონშემოქმედებითი, საზედამხედველო და სხვა საქმიანობის უკეთ წარმართვის, აგრეთვე საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის და პარლამენტის წევრთა შორის შრომის განაწილების მიზნით, თემატური მომხსენებლის დანიშვნას.<sup>50</sup> კომიტეტები საგაზაფხულო სესიის დაწყებამდე საკუთარი მუშაობის წლიურ სამოქმედო გეგმას ადგენენ, რომლითაც უნდა განისაზღვროს ინფორმაცია კომიტეტის ფუნქციების შესრულების მიზნით განსახორციელებელი აქტივობების და ვადების შესახებ.<sup>51</sup> სამოქმედო გეგმამ უნდა გაითვალისწინოს თითოეული აქტივობის განხორციელებისთვის პასუხისმგებელი კომიტეტის წევრ(ებ)ი, რომლებიც ავტომატურად ხდებიან თემატური მომხსენებლები.<sup>52</sup>

46 Hironori Yamamoto, Tools for parliamentary oversight, Inter-Parliamentary Union, 2007, Switzerland, p. 62.

47 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

48 იქვე, 155-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

49 იქვე, მე-2 პუნქტი.

50 იქვე, 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

51 იქვე, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

52 იქვე.



3

კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირების სავალდებულო დასწრება – ამ მექანიზმის ადრესატი მთავრობის წევრი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელი და საქართველოს სახალხო დამცველია. ისინი ვალდებული არიან კომიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში დაესწრონ მის სხდომას, პასუხი გასცენ სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინონ განუვლი საქმიანობის ანგარიში.<sup>53</sup> **შესაბამისი პირი ვალდებულია კომიტეტის სხდომას დაესწროს კომიტეტის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე.**<sup>54</sup> ამასთან, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს გენერალური პროკურორისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოწვევა შესაძლებელია მხოლოდ კომიტეტის წევრების სიითი შემადგენლობის უმრავლესობის წერილობითი მოთხოვნით.<sup>55</sup>

4

ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება – ეს მექანიზმი გულისხმობს საქართველოს მთავრობის წევრის, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირის, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელის ვალდებულებას, კომიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტები, დასკვნები და სხვა საჭირო მასალები.<sup>56</sup>

5

კომიტეტის სამუშაო ჯგუფი – სამუშაო ჯგუფი იქმნება კომიტეტის საქმიანობის ხელშეწყობის, საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადების მიზნით და სხვა მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. კომიტეტის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდნენ პარლამენტის წევრები და შესაბამისი დარგის სპეციალისტები.<sup>57</sup> ამდენად, **ეს მექანიზმი, თავისი არსით „შერეულ კომისიას“ წარმოადგენს, რომლის მიზანია „განსახილველი საკითხის ყოველმხრივი გამოკვლევა – როგორც პოლიტიკური, ისე ექსპერტული პერსპექტივიდან. გადაწყვეტილებები თანხმობაზე ორიენტირებული განხილვისა და საგნობრივი მსჯელობის საფუძველზე, მოწვეული პირებისა და პარლამენტის წევრების მიერ ერთობლივად უნდა მიიღებოდეს“.**<sup>58</sup> სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება ზოგადი წესით, რაც გულისხმობს დამსწრეთა უმრავლესობის მხარდაჭერას, მაგრამ არანაკლებ სხდომის გახსნისთვის საჭირო ხმების ნახევრისა.<sup>59</sup>

53 იქვე, მე-40 მუხლის 1-ლი პუნქტი.

54 იქვე, მე-2 პუნქტი.

55 იქვე, მე-3 პუნქტი.

56 იქვე, 41-ე მუხლი.

57 იქვე, 46-ე მუხლი.

58 გიორგი ალავერდიაშვილი, თორნიკე გერლიანი და ანა ჭაბაური, საპარლამენტო კონტროლი კონსტიტუციისა და რეგლამენტის რეფორმის შემდეგ, კვლევის ხელმძღვანელი და სამეცნიერო რედაქტორი: ვახუშტი მენაბდე, თბილისი, 2020, გვ. 80.

59 იქვე.

## 6

ნდობის ჯგუფი – ნდობის ჯგუფი თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორზე კონტროლის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმია. ნდობის ჯგუფი შედგება თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, ასევე საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობაში შემავალი ფრაქცი(ებ)ის 2-2 წევრისაგან.<sup>60</sup> ნდობის ჯგუფი უზრუნველყოფს შესაბამისი ორგანოების საიდუმლო საქმიანობისა და სპეციალური პროგრამების ზედამხედველობას.<sup>61</sup>

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი საზედამხედველო მექანიზმები (როგორც პლენარულ, ასევე საკომიტეტო დონეზე) არ მოიცავს ყველა საპარლამენტო ინსტრუმენტს. რეგლამენტი ითვალისწინებს სხვადასხვა თანამდებობის პირების დანიშვნასა და გათავისუფლებაში საკანონმდებლო ორგანოს ჩართულობას, აღჭურავს პარლამენტს არაერთი ორგანოს ანგარიშების მოსმენის, აუდიტის ჩატარებისა და სხვა ბერკეტებით. მოცემულ დოკუმენტში წარმოდგენილი იყო საპარლამენტო კონტროლის მხოლოდ ძირითადი, და არა ამომწურავი, მექანიზმები. ამასთან, წარმოდგენილი საზედამხედველო მექანიზმები, მათი დანიშნულება და მახასიათებლები იძლევა მკაფიო წარმოდგენას საპარლამენტო ცხოვრებასა და პოლიტიკურ დღის წესრიგში როგორც ოპოზიციის, ასევე მთლიანად პარტიების როლისა და შესაძლებლობების თაობაზე.

60 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 157-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

61 იქვე, 159-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.